

კვლევა 2018 -2019

ვლადიმირ კომაროვის ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199
სკოლის ისტორიის უფროსი მასწავლებელი

დიანა არჯევანიძე



პედაგოგიური კვლევის ანგარიში

საკვლევი თემა:

„ისტორიის გაკვეთილზე წამოჭრილი პრობლემები და მოსწავლეთა ცოდნის გამდიდრების ხერხების ძიება“

შესავალი

თავი I

1.1 ინფორმაციასკოლისშესახებ, სამიზნეჯგუფი.....

1.2 საკვლევისაკითხისმიმოხილვა

1.3 პრობლემისაქტუალურობისდასაბუთება
.....

თავი II

ლიტერატურისმიმოხილვა

თავი III

3.1 საკვლევიკითხვებისფორმულირება

3.2 კვლევისმიზანიდაამოცანები

თავი IV

4.1 მონაცემთა ანალიზი

4.2 ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა

4.3 ინტერვენციებისშედეგებიდამათიანალიზი

თავი V

რეკომენდაციები მასწავლებლებს

თავი VI

კვლევისმიგნებები

თავი VII

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

.....

შესავალი

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა ისტორიის მასწავლებლებისაგან სწავლების მრავალფეროვან მიდგომებს მოითხოვს. მასწავლებელი ვალდებულია საგნის შესწავლისას მოსწავლეებს ეფექტურად აათვისებინოს მნიშვნელოვანი ცნებები, განუვითაროს უნარ-ჩვევები და უკეთ მოამზადოს სტანდარტის მოთხოვნების შესასრულებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეები ვერ შეძლებენ ისტორიულად აზროვნებას: ეპოქის აღქმას, მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და ანალიზს, შეფასებას, საკუთარი მოსაზრების დასაბუთებას, რთული სოციალური, კულტურული და პოლიტიკური მოვლენების შესახებ პოზიციების ჩამოყალიბებას, დამოუკიდებელ ისტორიულ კვლევას და ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტთან მისადაგებას, დაკარგავენ საგნისადმი ინტერესს და გაკვეთილზე აქტიურობის სურვილს.

წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში. ნაშრომში განხილულია ისტორიის გაკვეთილზე წამოჭრილი პრობლემები და მოსწავლეთა ცოდნის გამდიდრების ხერხების ძიება.

ნაშრომი შედგება 7 თავისგან.

I თავში მოცემულია საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები;

II თავში განხილულია ლიტერატურა;

III თავში განხილულია საკვლევი კითხვები;

IV თავში მოცემულია მონაცემთა ანალიზი და ინტერვენციის დაგეგმვა;

V თავში გადმოცემულია განხორციელებული ინტერვენციები;

VI თავში - რეკომენდაციები მასწავლებლებს;

VII თავი კი ეთმობა პროექტის ვადებსა და დასკვნას. დასკვნას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ, სამიზნე ჯგუფი

ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში სწავლობს 1107 მოსწავლე. კვლევის სამიზნე ჯგუფი, რომელშიც განვახორციელეთ კვლევა, არის საბაზო საფეხურისა, აქედან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 200-მა მოსწავლემ. კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წელს და გრძელდებოდა 5 თვე.

1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

ისტორიის სწავლების ძირითადი მიზანი მოსწავლეთა პიროვნული განვითარებაა. ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეს მოვლენები ისე უნდა მიაწოდოს, რომ მისგან ფაქტების მშრალი გროვა და პასიური ცოდნა კი არა, აზროვნების მაღალი დონე განუვითაროს. ეს უკანასკნელი კი მოსწავლეს ცხოვრებისეული სიტუაციების გაანალიზებასა და სასურველი შედეგის მიღებაში ეხმარება. ჩემი აზრით, ისტორიის სწავლების ძირითადი საფუძველი მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაში მდგომარეობს. ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთმანეთისა. ეს წარმატებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ამიტომ ვცდილობ თავად შესისწავლო სწავლების წესები და მეთოდები, რათა დამეხმაროს მოსწავლეებს - გავუადვილო ისტორიის შესწავლა.

მეთოდების გამოყენებისას ვითვალისწინებ გაკვეთილის თემას, კლასის განსწავლულობის ხარისხს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სხვა ნიშან-თვისებს.

თანდათან დავაგროვე გამოცდილება, გამოვიმუშავე საკუთარი, ინდივიდუალური სწავლების ხერხები. პრაქტიკული მუშაობის პროცესში თავისუფლად ვიყენებ ამ ხერხებსა და მეთოდებს - ზოგჯერ ვიმეორებ, ზოგჯერ სახეს ვუცვლი, მაგრამ აუცილებლად ვითვალისწინებ კონკრეტულ სიტუაციას, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ისტორიის გაკვეთილზე შესაძლებელია სწავლების ყველა მეთოდის გამოყენება, რომლებსაც ითვალისწინებს თანამედროვე მეცნიერება, თუმცა შეუძლებელია ყველა მეთოდის ერთ გაკვეთილზე გამოყენება.

ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდიკაში მიღებულია ხუთი მეთოდი:

1. ზეპირსიტყვიერი
2. თვალსაჩინოების
3. პრაქტიკული
4. წიგნზე მუშაობის
5. ვიდეომეთოდი.

ჩემი კვლევის ობიექტები არიან ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეები

კვლევის მიზანია ისტორიის გაკვეთილზე წამოჭრილი პრობლემების აღმოფხვრა და მოსწავლეთა ცოდნის გამდიდრების ხერხების ძიება.

ჩემ მიერ გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შერჩეულ საკვლევ პრობლემაზე არსებული ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურისა და გამოცდილების შესწავლა-ანალიზი, ანკეტირება (კითხვარების შემუშავება და გამოყენება), ინტერვიუ, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, ექსპერიმენტი, ექსპერიმენტის შედეგად მოპოვებული მონაცემთა შეგროვება და მათი დამუშავება, შედეგების შეჯამება, მათზე მსჯელობა. კვლევის დროს გავეცანი სამეცნიერო ლიტერატურას და მასზე დაყრდნობით ჩამოვყალიბე საკვლევ კითხვები.

1.3. პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

კომაროვში მე-7 კლასიდან მათემატიკის გამოცდის საშუალებით მიიღებინ მოსწავლეები. ასე რომ, ჩვენს სკოლაში მოსწავლეები ირიცხებიან დედაქალაქის სხვადასხვა სკოლიდან, შესაბამისად მათ სწავლების სხვადასხვა სტილი გამოჰყვათ. ამიტომ უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინება. ისტორიის მასწავლებლები სასკოლო რეფორმების დაწყებამდე მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისას უპირატესობას ანიჭებდნენ ზეპირ მეტყველებას (გაკვეთილის მოყოლას). რეფორმების საწყის ეტაპზე ამ მიზნით თითქმის ყველა საგანში, მათ შორის – ისტორიაშიც, ძალზე პოპულარული გახდა ტესტები. ჩვენი გადასაწყვეტია, ცოდნის შემოწმების რომელ ფორმას მივიჩნევთ მართებულიად. არჩევანი კი საკმაოდ ფართოა: პრეზენტაცია, ტესტირება, ექსპერიმენტი, პროექტი, რეფერატი, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია და მაინც თავს იჩენს უამრავი პრობლემა. სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბრად ჩართვას ვერ ვახერხებთ. ვერც იმაში ვიქნებით დარწმუნებული, რომ ყველა მოსწავლემ გამოთქვა თავისი მოსაზრება – ზოგი თავს შეიკავებს, ზოგს დრო არ ეყოფა აზრის იმგვარად ჩამოსაყალიბებლად, როგორაც სურდა. ამასთანავე, თავის გამოჩენასთან დაკავშირებული ეს აქტივობები ყოველთვის ვერ იქნება იმის საწინდარი, რომ მოსწავლეებმა ბოლომდე გაიაზრეს წაკითხული ტექსტი, სიღრმისეულად ჩასწვდნენ საკითხის არსს. სწორედ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების საკითხებს ეხება ჩვენი კვლევა.

თავი II

2.1 ლიტერატურის მიმოხილვა

მოსწავლეთა ცოდნის გამდიდრების ხერხების ძიების მიზნით გავეცანი ლიტერატურას.

ისტორიკოს დავით ბოლქვაძეს მიაჩნია, რომ მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული ფორმაა წერითი დავალება (ესე). ურიგო არ იქნება, თუ სემესტრის განმავლობაში მოსწავლე რამდენიმე ესეს დაწერს. იმისთვის, რომ მასწავლებელს გაუადვილდეს მოსწავლეების შეფასება, ხოლო მოსწავლეს – ესეს დაწერა, მასწავლებელმა წინასწარ უნდა გააცნოს მას ესეს წერის წესები, სტრუქტურა და სხვა მოთხოვნები, წერითი დავალების დროს მოსწავლე ინდივიდუალურად, მშვიდ ვითარებაში მუშაობს. ცდილობს, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს და არგუმენტებით გაამყაროს თავისი მოსაზრება. ამ დროს მას არ უხდება თავისი აზრის მართებულობაში სხვების დარწმუნება, არც განსხვავებული მოსაზრებისთვის ანგარიშის გაწევა და კომპრომისი. სამაგიეროდ, მოსწავლეს ისტორიული კონტექსტის საფუძვლიანად გააზრება მოეთხოვება. ამასთანავე, ის ბუნებრივად იწყებს კრიტიკულ აზროვნებას და იუმჯობესებს წერის კულტურას.

„ესე ისტორიის სწავლებაში“

11 თებერვალი, 2015 დავით ბოლქვაძე <http://mastsavlebeli.ge/?p=4179>

ისტორიის სწავლების მეთოდის ავტორებს სერგო ვარდოსანიძეს, ზოია ჩიმაკაძეს, ელგა ცქიტიშვილს მიაჩნიათ, რომ სწავლების არც ერთი წესი და მეთოდი არ არის უნივერსალური. მათი მრავალფეროვნების დანიშნულებაა სასაწვლო პროცესის მოსწავლეთა მიერ ცოდნის მაქსიმალური ათვისებისაკენ წარმართვა. წესებისა და მეთოდების შერჩევა მთლიანად დამოკიდებულია მასწავლებლის კვალიფიკაციაზე, ოსტატებაზე, ცოდნასა და პირად თვისებებზე. აგრეთვე, მოსწავლეთა აქტიურობაზე, მათ ნაკითხობასა და დაინტერესებაზე.

ისტორიის სწავლების მეთოდიკა. თბილისი 1999 წ.

ავტორები: სერგო ვარდოსანიძე, ზოია ჩიმაკაძე, ელგა ცქიტიშვილი.

<http://mastsavlebeli.ge/?p=3962>

ირაკლი კაკაბაძე კი სტატიაში „ისტორიის სწავლების მნიშვნელობისთვის“

<http://mastsavlebeli.ge/?p=3488> გვიზიარებს თავის შეხედულებას, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანი და ამოცანები, როგორებიცაა:

სივრცეში ორიენტირება, ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება, კომუნიკაცია, სწავლის უნარი, კვლევა. შემოქმედებითი უნარი, ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაცია, თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა გეოგრაფიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების გავრცელების დადგენა, ასევე ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ამ საგნობრივმა ჯგუფმა უნდა განუვითაროს მოსწავლეს:

- თანამშრომლობა;
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა და დაცვა;
- ტოლერანტობა;
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გააზრება და სხვადასხვა საკითხებს შორის კავშირების დადგენა;
- პიროვნული და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრა;
- საზოგადოებრივი სიტუაციებისა და პროცესების მოდელირება;
- სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების შეფასება;
- საგანგებო ვითარებებში მოქმედება.

ისტორიის მასწავლებელი **მანანა ჯაყელი** თვლის, რომ თანახმად სწავლა - სწავლებისა, ერთ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება- საჭიროებიდან გამომდინარე, შესაცვლელია სწავლების სტრატეგიები, სხვადასხვა მოსწავლის უნარებზე მორგებული დავალებების შედგენა, ასევე საგაკვეთილო პროცესში სახალისო ელემენტების შეტანა.

<https://www.slideshare.net/Manana18/glogster-edu-piktochart>

სიმონ ჯანაშიას სტატიაში „რატომ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნება“ მიაჩნია, რომ კრიტიკული აზროვნების ნაკლებობა ჩანს იმაშიც, თუ როგორ იყენებენ სკოლაში სახელმძღვანელოებს მასწავლებლები. მაგალითად, როცა ისტორიის სახელმძღვანელოებში გაჩნდა საისტორიო წყაროები და სავარჯიშოები, რომელთა მიხედვითაც მოსწავლეებს უნდა შეეფასებინათ წყაროს ავთენტურობა, წყაროს ავტორის მოტივაცია და ა.შ., ამის ნაცვლად მასწავლებლებმა სავარჯიშოები გარდაქმნეს დამახსოვრების სავარჯიშოებად. მოსწავლე, იმის ნაცვლად, რომ შეაფასოს რა მსგავსებები და განსხვავებებია ერთი და იმავე მოვლენის ამსახველ სხვადასხვა წყაროს შორის, ვალდებულია მოყვეს, გაიმეოროს ის, რაც ითქვა მრავალი საუკუნის წინ. ხშირად მასწავლებლებს ავიწყდებათ, რომ კრიტიკული აზროვნების განვითარების გარდა ასევე მნიშვნელოვანია შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაც.

<http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/12715/>

ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრმა კი <http://netgazeti.ge/news/23745/> ეროვნული გამოცდების ისტორიის ტესტებში NATO-ს შესახებ კარიკატურები შეიტანა. როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის ისტორიის ჯგუფის ხელმძღვანელი მანანა ჯავახიშვილი აცხადებს, ეს კარიკატურა საბჭოთა კავშირშია შექმნილი და აბიტურიენტმა ის უნდა დაინახონ, როგორ ებრძოდნენ დასავლეთს საბჭოთა კავშირში: „ჩვენ გვაქვს დავალება ეროვნულ გამოცდებზე, რომელსაც ჰქვია ისტორიული წყაროს ანალიზი. ეს ისტორიული წყარო შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ვიზუალური- რუკა, კარიკატურა და ა.შ. ამ შემთხვევაში ეს კარიკატურა არის ჩვეულებრივი ისტორიული წყარო, რომელიც შექმნილია საბჭოთა კავშირში, ცივი ომის პერიოდში, არის ანტიდასავლური, ანტიამერიკული, ასეთი

მეთოდებით ებრძოდა საბჭოთა კავშირი დასავლეთს. ჩვენ სწორედ ეს გვინდა ვაჩვენოთ აბიტურიენტს, რომ ანტი-ნატოს პოზიციები საბჭოური აზროვნებაა, აბსოლუტურად არაფერი არ არის აქ ჩადებული დამატებით, ეს ელემენტარულია. აბიტურიენტს როდესაც ვეკითხებოდით, სად შეიქმნებოდა ეს კარიკატურა, ის უნდა მიხვდეს, რომ ასეთი რამ ხდებოდა საბჭოთა კავშირში. ეს აჩვენებს, როგორ აზროვნებდნენ და ებრძოდნენ დასავლეთს სწორედ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ეს არ ნიშნავს, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის პოზიციას ანტიდასავლური”, – აცხადებს მანანა ჯავახიშვილი. მისი თქმით, მსგავსი შეკითხვები გამოცდების ტესტებში ყოველ წელს შედის. ერთიანი ეროვნული გამოცდების ისტორიის ტესტები ეროვნული გამოცდების ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. გამოცდების ორივე ვარიანტში მოცემულია კარიკატურები, რომლებზეც გაკრიტიკებულია ორგანიზაცია NATO, კარიკატურას თან ახლავს შეკითხვები, თუ რომელი ორგანიზაციაა გამოსახული, სად იქმნებოდა მსგავსი კარიკატურები, რომელი ქვეყანაა გაკრიტიკებული და ა.შ.

III თავი

3.1 საკვლევი კითხვების ფორმულირება

ლიტერატურის გაცნობამ მიმიყვანა საკვლევი კითხვების ჩამოყალიბებამდე:

ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვისას, ხშირად ვფიქრობდი აქტივობების შერჩევაზე. ვიყენებდი წყაროზე მუშაობას, რუკაზე მუშაობას, დისკუსიასა და დებატებს. ეს ისეთი ტიპის აქტივობებია, რომლებიც მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზეა მიმართული. თუმცა, ამ ტიპის აქტივობების დაგეგმვისას დავალეებ ვალაგებ მარტივიდან რთულისაკენ, ეს კი ხელს უწყობს დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების ჩართვას საგაკვეთილო პროცესში. ამ აქტივობებით ასეთი ტიპის მოსწავლეები მხოლოდ გაკვეთილზე შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოებით შემოიფარგლებიან ხოლმე, მაგრამ საშინაო დავალებას როცა ვაძლევ, უკვე პასიურები ხდებიან. ის, რაც ინდივიდუალურ მუშაობას მოითხოვს, ნაკლებად საინტერესო ხდება მათთვის. თუმცა, ვცდილობ, დავალებები ინტერესების სფეროს გათვალისწინებით შევადგინო. რა არის პრობლემა? სწორედ ამ კითხვამ გადამაწყვეტინა აღნიშნული კვლევის დაწერა.

პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ კლასებში, სადაც ბევრი მოსწავლე სწრაფად და კარგად ახერხებს სხვადასხვა სამუშაოს შესრულებას მაშინ, როცა მოსწავლეთა მცირე ნაწილი ვერ ახერხებს აყვეს ვერც ტემპს და ვერც ხარისხს. ამ დროს ხდება მათი დათგუნვა, დემოტივაცია.


კითხვა-პასუხის, პრეზენტაციის დროს აქტიურობენ უკეთ მომზადებული მოსწავლეები და ეს ერთგვარ ბარიერს ქმნის სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეთა შორის. როდესაც საშინაო დავალებად ან შემაჯამებელი სამუშაოს ფორმად ავირჩიე ნახატების, ჩანახატების, პროექტული სწავლების ფორმა, მოსწავლეთა ამ ნაწილმა უკეთ გამოავლინა საკუთარი

„ფარული“ შესაძლებლობები. მიუხედავად ამ საკითხზე ხშირი მუშაობისა პრობლემა მაინც აქტუალური რჩება.

საგნის სირთულეს მოსწავლეები აღწერდნენ შემდეგნაირად: „ისტორიაში არის დიდი გაკვეთილები და არ მაინტერესებს“

ჩამოთვლილთაგან რომელ გაკვეთილს ანიჭებთ უპირატესობას?

- ა) სალექციო - როცა მასწავლებელი ხსნის და მოსწავლეები უსმენენ.
- ბ) რესურსებით დატვირთული.
- გ) კითხვა-პასუხის რეჟიმში.
- დ) ინტერაქტიური -(როცა მოსწავლე კითხულობს და მასწავლებელი ხსნის)




1. გაქვთ თუ არა შესაძლებლობა საკუთარი აზრის დაფიქსირებისა ისტორიის გაკვეთილზე?

- ა) კი ბ) არა გ) ზოგჯერ კი დ) ზოგჯერ არა



3. როდის უკეთ იგებთ გაკვეთილს, როცა მასწავლებელი გაწვდით რესურსს, თუ როცა თავად ქმნით?



ა) როცა მასწავლებელი ქმნის რესურსს.

ბ) როცა მოსწავლეები თავად ქმნიან რესურსს.

4. როგორი ტიპის რესურსებს იყენებს მასწავლებელი გაკვეთილზე?

ა) წიგნს ხშირად.

ბ) დაფას.

გ) რუკებს.

დ) სლაიდ-შოუს.

ე) ფილმების ჩვენებას.


ვ) აუდიო-ვიდეო მასალას.

ზ) გაკვეთილი-მუზეუმში.

თ) პრეზენტაციის.

ი) პროექტების.

კ) სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას



5. თქვენი აზრით რისთვის არის საჭირო მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება გაკვეთილზე? (შეგიძლია რამდენიმე პასუხი მოხაზო)

- ა) საინტერესოა;
- ბ) ხელს უწყობს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას;
- გ) მეხმარება მიღებული მასალის ადვილად აღქმასა და დამახსოვრებაში.
- დ) თვალსაჩინოების დამზადება მამლევს გამოცდილებას.

6. რაში დამეხმარება სწავლების ეს მეთოდი? (შეგიძლიათ რამდენიმე პასუხი მოხაზო)

- ა) მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევაში.
- ბ) მეხმარება ჩემი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენაში;
- გ) მიღებული ცოდნას გამოვიყენებ პრაქტიკაში;
- დ) ეს საგანი მეტად დამაინტერესებს;

ღია კითხვა - თქვენი აზრით, როგორ გავხადო უფრო საინტერესო ისტორიის გაკვეთილი?

4.1 მონაცემთა ანალიზი

როგორც რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოსწავლეების პასუხებმა უჩვენა, ძირითადად უტარდებათ ტრადიციული ლექციური ტიპის გაკვეთილები-60%, კითხვა-პასუხის -20 %, ინტერაქტიული-10%, რესურსებით გამდიდრებული სახის გაკვეთილი -10%-ს. მოსწავლეებს მოსწონთ, როცა თავად ქმნიან რესურსებს და ამ რესურსების გამოყენებით გაამდიდრებენ გაკვეთილს. ეს მათი აზრით აძლევთ გამოცდილებას, ეხმარებათ მასალის აღქმასა და დამახსოვრებაში. გაკვეთილი საინტერესოა. მოსწავლეებს 90 %-ს მოსწონს და ურჩევნია ჩატარდეს მრავალფეროვანი რესურსებით დატვირთული გაკვეთილი, 10 %-ს მიაჩნევს სხვადასხვა ტიპის გაკვეთილის ჩატარებას.

4.2. ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა

ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო ჩამომეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

სამიზნე ჯგუფებთან ჩატარებულმა კვლევამ, მონაცემთა ანალიზმა და კითხვაზე თუ რა არის მეცხრე კლასში ისტორიის გაკვეთილებზე დაბალი მოტივაციის მიზეზი, გამოკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

1. ძირითად მოსწავლეებს უტარდებათ ლექციური-ტრადიციული ტიპის გაკვეთილები.
2. ნაკლებად არის გაკვეთილზე მათთვის მოსახერხებელი სასურველი გარემო.
3. ასევე ტარდება შერეული ტიპის გაკვეთილებიც.
4. ისტორიის გაკვეთილები არ არის დატვირთული მრავალფეროვანი რესურსებით.
5. მოსწავლეები ნაკლებად მონაწილეობენ რესურსების შექმნაში.
6. მოსწავლეებს მოწონთ, როცა თავად ქმნიან რესურსებს.
7. მოსწავლეების 90% სურს გაკვეთილები მრავალფეროვანი რესურსებით იყოს დატვირთული.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, კათედრის წევრებთან ერთად დაგეგმე ინტერვენციები:

პროექტ-გაკვეთილები.

გასვლითი გაკვეთილები მუზეუმში

როლური თამაშები.

ფილმების ჩვენება.

კოგნიტურ სქემები.

ესეების წერა.

ვიქტორინები.

სწავლების მრავალგვარი მეთოდები.

მაკეტების დამზადებას, კეთებით სწავლება.

შეხვედრა პირველი

ჩვენს სკოლაში თბილისელებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მათემატიკის ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები სწავლობენ. . . ისინი პანსიონში ცხოვრობენ და ერთი პატარა დიალექტოლოგიური კორპუსია, პატარა საქართველო, თავისი ტრადიციებითა და კუთხური მეტყველებით თავმოწონებული. რა დიალექტს არ გაიგებთ: გურულს, იმერულს, რაჭულს, კახურს. ამიტომ, გადავწყვიტეთ მათ წარმოდეინათ თავიანთი კუთხეები და ვახორციელეთ კიდევაც პროექტი „**მოვიარე საქართველო**”

სასწავლო პროექტი

„მოვიარე საქართველო“

პროექტის მთავარი იდეა იყო - საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ ინფორმაციის მოძიება. პროექტის მიზანი იყო ხელი შეეწყო ისტ-ის დახმარებით მონაცემთა შეგროვება, ჯგუფში ფუნქციების განაწილება და ერთმანეთის აზრის გათვალისწინება, მოპოვებული ინფორმაციის შეჯერება, მოსწავლეებს მივეცით ორი კვირა პროექტის პრეზენტაციის წარმოსადგენად. მოსწავლეებმა ხალისით მიიღეს ეს დავალება, მოიპოვეს მასალები, გამოთქვეს თავიანთი აზრი მოპოვებულ მასალაზე, წარმოადგინეს ელექტრონული პრეზენტაციები. 25 - მოსწავლიანი კლასი იყო დაყოფილი ჯგუფებად.

I ჯგუფმა: მოიპოვა ინფორმაციას ქართლის შესახებ.

II ჯგუფმა - ინფორმაცია კახეთის შესახებ.

III ჯგუფმა - ინფორმაცია გურიის შესახებ.

IV ჯგუფმა ინფორმაცია აჭარის შესახებ.

V ჯგუფმა კი მოიპოვა ინფორმაცია იმერეთის შესახებ.

ინფორმაციის მოპოვების შემდეგ გადაწყვიტეთ საგანთა ინტეგრირების მიზნით (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან ერთად განგვეხორციელებინა ეს პროექტი

პროექტის მიზანი იყო მოეხდინა ქართული ხუროთმოძღვრული და კულტურული ძეგლების პოპულარიზაცია თანატოლებს შორის. გაეღვივებინა მათი უფრო მეტი ცოდნის სურვილი საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე, გაეცნოთ თითოეული ძეგლის ისტორია, თუ როდის და ვის მიერ აიგო თითოეული მათგანი, რა როლს ასრულებდა და ასრულებს ყოველი ხუროთმოძღვრული თუ კულტურული ძეგლი საქართველოსა და ქართული მწერლობის განვითარებაში, ერის ცოდნის გაღრმავებაში, პროექტის მიზანი იყო ასევე, მოსწავლეებისთვის გაეჩინა სურვილი იმისა, რომ დაეცვათ, მოეარათ და მოსპობას გადაერჩინათ თითოეული კულტურული თუ ხუროთმოძღვრული ძეგლი.

პროექტის შედეგად მოსწავლეებს წარმოადგენა შეექმნათ ჩვენს ისტორიულ წარსულზე, შექმნეს ცნობარი „გზამკვლევი“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ და ესპანურ ენებზე. პროექტი მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, რადგან ისინი ხშირად დადიან ექსკურსიებზე, ქალაქგარეთ... და არა მარტო მათთვის. უამრავი ტურისტი ჩამოდის საქართველოში, რომელთაც არ იციან, სად წავიდნენ ან რა ნახონ. მოსწავლეთა მიერ შექმნილი „ცნობარი გზამკვლევი“ კი ყველას დაეხმარება, რათა უცებ და ოპერატიულად მოიძიონ მათთვის სასურველი ინფორმაცია და შესაბამისად დაგეგმონ დღე. ინფორმაციას მოიპოვებენ სხვადასხვა ლიტერატურიდან, ინტერნეტიდან, ენციკლოპედიებიდან, ჰკითხავენ რჩევებს ისტორიკოსებს, თეოლოგებს, უშუალოდ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირებს

თითოეული ხუროთმოძღვრული ძეგლის ისტორიასთან დაკავშირებით და ჩაატარებენ სოციოლოგიურ კვლევას სკოლაში.

მეორე შეხვედრა

ფოტოალბომი კომენტარებით -

ეს აქტივობა განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისათვის იქნება სასარგებლო, რომლებსაც კეთებით სწავლა მოსწონთ. მოსწავლეებს ვთხოვეთ შეექმნათ განსახილველი ისტორიული პიროვნების რამდენიმე ფოტოსურათისა ან რეალისტური ნახატისაგან შემდგარი ფოტოალბომი, რომლებიც მოსწავლეებიც, რასაკვირველია, ინტერნეტიდან მოიპოვეს. დავავალეთ მოსწავლეებს მოპოვებულ მასალებზე თავიანთი კომენტარების დართვა. იმ მოსწავლეებს, რომლებსაც წერიტი დავალებები უყვართ და ფანტაზიის უნარი კარგად აქვთ განვითარებული, განსაკუთრებით მოეწონათ ეს დავალება, რომელსაც პირობითად წარმოსახვითი ინტერვიუ დავარქვით. მოსწავლეებს ვთხოვეთ გონებრივი იერიშით მოიფიქრებინათ ის კითხვები, რომლებსაც ისტორიულ პიროვნებას დაუსვამდნენ. კითხვები დაფაზე დაწერეთ. შემდეგ წყვილებად ან ტრიალებად დაყოფილ მოსწავლეებს ვთხოვეთ მოფიქრებული კითხვებიდან ამოირჩიათ მათთვის ყველაზე საინტერესო კითხვების განსაზღვრული რაოდენობა და პასუხები ისე გაეცათ, როგორც მათი წარმოდგენით ისტორიული პერსონა გააკეთებდა. მოსწავლეებს ავუხსენით, რომ პასუხების გაცემისას თავი ისტორიული პიროვნების ადგილას წარმოიდგინათ, მათ პასუხებში ჩანდა, რომ იციან ამ პიროვნების ცხოვრების შესახებ. დავალების ბოლოს ერთი ან რამდენიმე საუკეთესო ნამუშევარი წავიკითხეთ, ხოლო ყველა დასრულებული ინტერვიუ ერთად ავკინძეთ ხელნაწერ წიგნად.

მეორე შეხვედრაზე კი განვიხილეთ აქტივობა **ხასიათის სოციოგრამა, რომელიც** მოსწავლეებს დაეხმარა, უკეთ გაეაზრებინათ ისტორიული პიროვნების ხასიათი, დააფიქსირებინათ მისი დამოკიდებულებები უახლოეს ადამიანებთან, ამ ადამიანების დამოკიდებულება მათადმი. ამ აქტივობამ მოსწავლეებს განუვითარა წაკითხულის გააზრების, აგრეთვე წაკითხულ ტექსტში სპეციფიკური და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიებისა და ადეკვატურად გამოყენების უნარი. დავალება შესრულდა შემდეგნაირად. სამუშაო ფურცლის შუა რგოლში მოთავსებული იყო ისტორიული პერსონის სახელი. ავირჩიეთ ამ ადამიანის ცხოვრების რამდენიმე (ოთხი ოპტიმალური რაოდენობა) მნიშვნელოვანი პიროვნება. მათი სახელები ორი ურთიერთსაპირისპირო ისრით დავაკავშირეთ მთავარ პიროვნებასთან. ვთხოვეთ მოსწავლეებს, ისრების გასწვრივ თითო წინადადებით დაეწერათ, რა აკავშირებს ამ ადამიანებს ერთმანეთთან. მოსწავლეებს უნდა ამოარჩიათ მათი აზრით მთავარი დამაკავშირებელი მომენტი. ეს იყო: ერთმანეთთან დამოკიდებულება, დამსახურება ერთმანეთის წინაშე, რას ფიქრობდნენ ერთმანეთზე, ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი და ა.შ.

დავალების დამამთავრებელ ეტაპზე მოსწავლეებმა ისრებზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით პიროვნების ხასიათის სოციოგრამა შეადგინეს.

მესამე შეხვედრა -

წერიტი დავალება - კონცეპტუალური წრე

მოსწავლეებს განუვითარდათ ლოგიკურ აზროვნებისა და წაკითხულის გააზრების უნარი. მოსწავლეებმა დაინახეს კავშირი მასწავლებლის მიწოდებულ სიტყვებსა და წაკითხულ ტექსტს შორის. აქტივობა ასე შესრულდა. მასწავლებელმა წრეში შექმნა მისთვის საჭირო რაოდენობის დანაყოფები. თითოეულ დანაყოფში დაწერეს ის სიტყვა და მოკლე ფრაზა, რომლებიც ყველაზე ნათლად ახასიათებდა ისტორიულ პიროვნებას. მოსწავლეებს დავალებად მიეცათ, ასევე დაეწერათ პიროვნების დახასიათება ისე, რომ აუცილებლად გამოეყენებინათ მოცემული სიტყვები. აქტივობა საკმაოდ პროდუქტიული იყო. მან გაავითარა მოსწავლის წერიტი უნარები, ლოგიკური აზროვნება სიტყვებისა და ფრაზების სწორად დაკავშირებისა და გამოყენების უნარე. მოსწავლეებს ვთხოვთ მიწოდებული სიტყვების გამუქება. სამუშაოს დასრულების ბოლოს კი - გამოთქვეს აზრი, რამდენად დაეხმარა მასწავლებლის მიერ მიწოდებული სიტყვები და ფრაზები დავალების შესრულებაში, რამდენად ზუსტად ასახავდა ეს მონაცემები პერსონის ხასიათს.

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education) 5-6 Desember, 2014, Materials

ისტორიის სწავლება: ზოგადი ტენდენციები, ახალი მეთოდები, სასწავლო აქტივობები

ბოლქვაძე დავით

მეოთხე შეხვედრა

ინტელექტუალური თამაში - „ვთამაშობ ისტორიას....”

ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა პროექტმა - „ვთამაშობ ისტორიას”, რომელიც წარმოადგენდა სახალისო, საინტერესო, ინტელექტუალურ თამაშს და მოიცავდა კითხვებს საქართველოს ისტორიის შესახებ, დიდი მოწონება დაიმსახურა მოსწავლეებსა და კოლეგებს შორის. მათ გამოთქვეს სურვილი ყოველწლიურად ასეთი ტიპის კონკურს-თამაშის მოწყობისა.



4.3. ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

ზემოთ განვიხილეთ სხვადასხვაგვარი თეორიული და პრაქტიკული მიდგომები და სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აზროვნების აქტივაციას. ჩემ მიერ სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებამ მომცა შესაძლებლობა დამესკვნა, რომ მთავარი მიზანი მაინც საკლასო ოთახში აზროვნების კულტურის შექმნა და მისი განვრცობაა საკლასო ოთახის გარეთაც. მასწავლებელმა უნდა შეამჩნიოს ის მომენტები, როდესაც მოსწავლეები დუნდებიან და აქტიურად არ არიან ჩართულნი აზროვნების პროცესში. ეს პირველი ნაბიჯი იქნება მოსწავლეების აზროვნების პროცესების გააქტიურებაში. მართლაც, მოსწავლეები ბევრს სწავლობენ იმ საკლასო კულტურიდან, სადაც აზროვნების პროცესები ხილვადია ანუ თვალსაჩინოდ მიმდინარეობს. კერძოდ, ამგვარ გარემოში მოსწავლეები

აზრებს თავისუფლად გამოთქვამენ, სააზროვნო ლექსიკონს იყენებენ, ალტერნატიულ იდეებსა და ინტერპრეტაციებს აყალიბებენ, დებატებში, დისკუსიებში, როლურ თამაშებში მონაწილეობენ, პროექტებს ახორციელებენ და ა.შ. შესაბამისად, უფრო მეტი ინტერესით სწავლობენ და ამყარებენ ლოგიკურ კავშირებს სასკოლო ცხოვრებასა და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის. ყოველივე ამის შედეგად კი მოსწავლეები უფრო გონებადამხვილ და მოაზროვნე პიროვნებებად ყალიბდებიან.

კვლევის მიგნებები:

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს არ მოსწონთ სწავლების ის მეთოდები, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ, რაც იწვევს იმას, რომ მათ არ მოსწონთ მოცემული საგანი. ამდენად, სწავლების მეთოდების შეცვლა არის ის საშუალება, რომელიც მოსწავლეების მოტივაციას სწავლისადმი საგრძნობლად გაზრდიდა. ასევე, აშკარაა, რომ მოსწავლეებს არ ესმით ის ფორმალური ენა, რომლითაც მასწავლებელი ოპერირებს გაკვეთილის ახსნისას, ანუ მასწავლებლის ენა რთულად ეჩვენება, რაც მოსწავლეს უქმნის იმ შთაბეჭდილებას, რომ ის რეალობა, რომელზეც მასწავლებელი საუბრობს, სრულიად განსხვავდება იმ რეალობისაგან, რომელშიც თვითონ ცხოვრობს და ეს იწვევს მისი სასწავლო მოტივაციის დაქვეითებას. მოსწავლეები ასევე ასახელებენ მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისადმი მიდგომის შეცვლას, რაც შედეგად მოგვცემს მასწავლებელი -მოსწავლის ურთიერთობის ჰარმონიას. როგორც ერთ-ერთი მოსწავლე აღნიშნავს, „მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ თავი შეაყვაროს მოსწავლეს“

რეკომენდაციები კათედრის წევრებს:

ისტორიის გაკვეთილი მოძველებული მეთოდებით სწავლებისას მასწავლებელი ძირითადად მოითხოვდა კონკრეტული „ამბების“ ცოდნას: რა, როდის და სად მოხდა კი არა, არამედ რატომ მოხდა. ისტორიის ახლებური სწავლების ძირითადი მიზანია მოსწავლის სააზროვნო პროცესებში ჩართვა.

მოსწავლეების მომზადება, რათა გაიგონ თანამედროვე მოვლენები მსგავსი და განსხვავებული ისტორიული შემთხვევების კონტექსტში განხილვა და პარალელების მოძებნა.

მოსწავლეებისათვის ისტორიული გამოცდილების გაზიარება ისე, რომ მათ შეძლონ ისტორიული ციტატების, ლიტერატურის და სხვა გაგება.

მასწავლებელმა ხაზს გაუსვას იმას, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია მოცემულ მასალაში (ან გაკვეთილზე);

მასწავლებელმა გადასცემს ინფორმაცია, რათა წახალისოს მოსწავლეთა აზროვნება მოცემულ საკითხებზე;

მასწავლებელმა საკუთარი მოსაზრებების გარდა განიხილოს სხვების მოსაზრებებიც

მასწავლებელმა გამოიყენოს შესაბამისი საკლასო აქტივობებს (სადემონსტრაციო ექსპერიმენტი, სახელმძღვანელოსა ან დამატებითი მასალები), რათა მოსწავლეებმა ისწავლონ/განიმტკიცონ ახსნილი მასალა;

მასწავლებელმა მოსთხოვს მოსწავლეებს, რათა გაიხსენონ გაკვეთილის მთავარი საკითხები, ფაქტები, მოვლენები;

მასწავლებელმა სთხოვს მოსწავლეს, რომ თავისი სიტყვებით გადმოსცენ წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბოლქვაძე დავით - „ ისტორიის სწავლება: ზოგადი ტენდენციები, ახალი მეთოდები, სასწავლო აქტივობები”

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education) 5-6 Desember, 2014, Materials

ბოლქვაძე დავით - „ ესე ისტორიის სწავლებაში”

<http://mastsavlebeli.ge/?p=4179>

ფიჩხარიძე მაია - „როგორ ავითვისებინოთ მოსწავლეს ისტორიული ტერმინოლოგია”

<http://mastsavlebeli.ge/?p=11019>

ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრი

<http://netgazeti.ge/news/23745/>

ჯანაშია სიმონ - „რატომ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნება”

<http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/12715/>

ავტორები: სერგო ვარდოსანიძე, ზოია ჩიმაკაძე, ელგა ცქიტიშვილი.

ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია. თბილისი 1999 წ.

<http://mastsavlebeli.ge/?p=3962>

ირაკლი კაკაბაძე - „ ისტორიის სწავლების მნიშვნელობისთვის”

<http://mastsavlebeli.ge/?p=3488>

მანანა ჯაყელი - საგაკვეთილო პროცესში სახალისო ელემენტების შეტანა.

<https://www.slideshare.net/Manana18/glogster-edu-piktochart>

კვლევის ვადები:

	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი
საკვლევი თემის შერჩევა	✓				
შეხვედრა ისტორიის მასწავლებლებთან პრობლემის განხილვის მიზნით	✓				
კვლევის გეგმის შემუშავება		✓			
კითხვარის შედგენა		✓			
გამოკითხვა			✓		
მიღებული შედეგების ანალიზი			✓		
სავარაუდო ინტერვენციების განხილვა			✓		
ინტერვენციის განხორციელება				✓	
ინტერვენციის შედეგების ანალიზი				✓	
კვლევის შედეგების გაცნობა, პრეზენტაცია					✓

რეფლექსია

ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლაში განვხორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „ისტორიის გაკვეთილზე წამოჭრილი პრობლემები და მოსწავლეთა ცოდნის გამდიდრების ხერხების ძიება.“ პრობლემის გადასაწყვეტად გავეცანი საჭირო ლიტერატურას, მოვაგროვე ინფორმაცია კოლეგებისგან, თუ რა ტიპის აქტივობებს ფლობდნენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შედგა ფოკუს ჯგუფიც, სადაც გადაწყდა გაკვეთილების ჩატარება კოლეგების თანდასწრებით. ვეცადე გამოძეყნებინა ისტორიის სწავლებისას ისეთი მეთოდები და მიდგომები, რომელთა გამოყენებაც დამეხმარებოდა მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, ტექსტში მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმასა და გააზრებაში, მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასებაში, აგრეთვე, გაცნობილი მასალიდან გაეკეთებინათ არჩევანი ძირითად და მეორეხარისხოვან ინფორმაციას შორის, შეძლებოდათ არსებულ თემატიკაზე მოცემული ინფორმაციის „გაფილტვრა“. შევიძუშავე ქვეკითხვების ნუსხაც, რომელსაც უშუალოდ ეფუძვნება კვლევა. ეს ქვეკითხვებია: როგორ შევარჩიოთ საჭირო რესურსები? რომელი ტიპის რესურსს მივანჭოთ უპირატესობა? რომელი ტიპის რესურსი დაეხმარება მოსწავლეს კრიტიკულ აზროვნებაში? როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს წერილობითი თუ ინტერნეტრესურსის მოძიებაში, აღქმა-გააზრებაში მიღებული ინფორმაციის დახარისხებაში? მისი სანდოობის დადგენაში? როგორ შევაფასოთ მოსწავლეთა შედეგები კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით დაგეგმილი გაკვეთილის მიხედვით, შესაძლებელია თუ არა ამ მეთოდით მიზნის მიღწევა? როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს, საგაკვეთილო პროცესში დასვან კრიტიკული შეკითხვები და საკითხი ობიექტურად შეაფასონ? აქვთ თუ არა სურვილი პედაგოგებს კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დანერგონ საკუთარ პრაქტიკაში განსხვავებული მიდგომები?

კვლევის შედეგების გაზიარების მიზნით შეხვედრა გავმართეთ კვლევის სამიზნე ჯგუფთან IX კლასის მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან, რომლებიც ასწავლიან ამ კლასებს. წარვუდგინეთ პრეზენტაცია, რომელშიც დეტალურად განვიხილეთ ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის ეტაპები, მეთოდები, ინტერვენციები, კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები, დასკვნები. შედეგები წარვადგინეთ ცხრილებისა და დიაგრამების სახით, გავაცანით ღია კითხვებზე პასუხები.

ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლების უკუკავშირი. მათ აღნიშნეს, რომ კვლევა დაეხმარათ სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში, რადგან კვლევის პერიოდში მასწავლებლები მიმართავდნენ სწავლების სხვადასხვა საშუალებას, უფრო ხშირად იყენებდნენ გაკვეთილებზე ისტ-ს, ატარებდნენ ექსპერიმენტს. მასწავლებლების მიერ მოცემული უკუკავშირიდან ჩანდა, თუ როგორ აისახა კვლევის შედეგები მათ პრაქტიკაში.

ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ თემა აქტუალურია, რადგან ნათლად დაინახეს თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროება კათედრის წევრებს შორის.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები ჩემს კოლეგებსაც გამოადგა პრაქტიკის გაუმჯობესებაში და დაეხმარათ მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდაში. კვლევის დროს მიღებული გამოცდილება და მისი განხორციელება პრაქტიკაში დამეხმარა იმ საკითხების გადაწყვეტაში, რამაც ხელი შეუწყო საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას და ასევე, მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. ვიმედოვნებ, რეკომენდაციების გათვალისწინება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ისტორიის სწავლებისას გამოვლენილი პრობლემების დაძლევას და სწავლის პროცესის მიმართ პასუხისმგებლობის გაზრდას. კარგი იქნებოდა პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობა მიეღო საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს და ასევე მათ მშობლებსაც. ჩემი აზრით, მათი ნაკლები ჩართულობა განაპირობა კვლევის ჯგუფის მხრიდან კვლევის განხორციელებისათვის საჭირო გამოცდილების ნაკლებობამ.

ვფიქრობ, კვლევის დროს შეძენილი ცოდნა და გამოცდილება დამეხმარება მომავალშიც ვიმუშაო კვლევაზე საკუთარი და ჩემი კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სასწავლო გარემოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ისტორიის უფროსი მასწავლებელი **დიანა არჯევანიძე**

